საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 11 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №142/17
მოსამართლე … მიმართ
დისციპლინური დევნის/სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

… 2017 წლის 08 აგვისტოს №... საჩივრის საფუძველზე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^5 - მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე … მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 04 მაისის №142/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2018 წლის 15 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება (№142/18), მოსამართლე … მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე.

მოსამართლე … მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილია ახსნა-განმარტება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის … №... გადაწყვეტილებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლე … განთავისუფლებულ იქნა მოსამართლის თანამდებობიდან (უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება უნდა შეწყდეს, თუ „მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.“

გამომდინარე იქიდან, რომ … აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, არ წარმოადგენს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ იმსჯელებს ზემოაღნიშნული მოსამართლის მიმართ, ვინაიდან, არ არსებობს …, როგორც მოსამართლის მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების საფუძველი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №142/18, ყოფილი მოსამართლე … მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი